

2011 წლის 4 ივლისი

ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

ადმინისტრაციული საბჭოს 2011 წლის 7 ივნისის სხდომის

ოქმი

ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 34-36

სხდომის დაწყების დრო 19:00 საათი

სხდომის დამსწრე ადმინისტრაციული საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იოსებ ბარათაშვილი, ზვიად კორძაძე, ქეთევან ბექაური, ნოდარ ფეიქრიშვილი, ბესარიონ აბაშიძე, გონა სვანიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება.

სხდომაზე განიხილეს გასაწევრიანებელი პირთა განცხადებები თანდართული საბუთებით: დავით ჩაჩანიძე, მერი ფარულავა, დარეჯან მჭედლიძე, დავით ძიძიგური, ნოდარ გიორგაძე, სიმონ პეტრიდისი, ნათია ტუღუში, იაგო სოხაშვილი, სალომე გიორგაძე, ნუკრი დეკანაძე, თეა ბორაშვილი, ალექსანდრე ახალშენაშვილი, თამთა გოგოლაძე, ნინო ძნელაძე, ნანული კიტია, ციალა უთიაშვილი, ხატია კვასტიანი, მაკა ჯიხორია, ირაკლი ალანია, სოფიო გაბრუშიძე, ელენორა ნინიძე, დაჩი ქინქლაძე, ლეა დედიაშვილი, ლია ბითაძე, პაატა ფრანგიშვილი.

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა

განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი იმ უფლებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნას გეწვევრიანებაზე.

2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ”, 21² მუხლის, გ პუნქტის (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი: ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება) საფუძველზე და წევრობის შეჩერების შესახებ პირადი განცხადების საფუძველზე, შალვა ჩალაძეს შეუჩერდეს ასოციაციაში წევრობა ხელახალი გაწვევრიანებისთანავე.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” თავმჯდომარე